

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11

2011 წლის 31 მარტი

ქ. ზუგდიდი

ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 დეკემბრის №394 დადგენილების შესაბამისად,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შემოღებულ იქნეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადი და მისი განაკვეთები განისაზღვროს დანართი №1-ის შესაბამისად (დანართი №1 თან ერთვის).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 თებერვლის №4 დადგენილება.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ლ. კონჯარია

შეტანილი ცვლილებები:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 31 მაისის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 20.05.2011წ.

დანართი № 1

ადგილობრივი (ქონების) გადასახადის განაკვეთები

მუხლი 1

საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების ღირებულების 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება, რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში უნდა გაიზარდოს:

- ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 3-ჯერ;
- ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 2-ჯერ;
- გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე – 1.5-ჯერ;
- დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს - 3-ჯერ.

მუხლი 2

საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ლიზინგით გაცემულ დასაბეგრი ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1 პროცენტი.

მუხლი 3

ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთებია:

ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0,2 პროცენტი;

ბ) 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0,8 პროცენტი.

მუხლი 4

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ ჰექტარზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი კარგი და მწირი ხარისხის მიწებისათვის განისაზღვროს:

- ა) სახნავი და სხვა მიწებისათვის _ 77 ლარი;
- ბ) საკარმიდამო მიწებისათვის _ 77 ლარი;
- გ) გაკულტურებულ სათიბებზე _ 20 ლარი;
- დ) გაკულტურებულ სამოვრებზე _ 16 ლარი;
- ე) სათიბებზე (გარდა გაკულტურებული სათიბებისა) – 18 ლარი;
- ვ) სამოვრებზე (გარდა გაკულტურებული სამოვრებისა) – 15 ლარი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 31 მაისის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 20.05.2011წ.

მუხლი 5

ყოფილი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის ტყეების მიწის ერთ ჰექტარზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია 20 ლარი.

მუხლი 6

ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე გამოყოფილი მიწების ერთ ჰექტარზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია 3 ლარი.

მუხლი 7

1. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთები ქალაქ ზუგდიდსა და მის სოფლებში, თემებში განისაზღვროს შემდეგი ოდენობით ლარებში:

№	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	ტერიტორიული კოეფიციენტი	საბაზისო განაკვეთი 1 მ ² -ზე (ლარებში)	წლიური გადასახადის განაკვეთი 1 მ ² -ზე (3 X 4)
1	ქ.ზუგდიდი	1,1	0,24	0,27
2	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის თემებსა და სოფლებში	0,7	0,24	0,17

მუხლი 8

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, შესაბამისი დასაბეგრი ობიექტის მიხედვით, ქონების გადასახადისგან გათავისუფლდეს:

- ა) საცხოვრებელ სახლზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები;
- ბ) ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები;
- გ) მრავალბინიან სახლში მცხოვრები ფიზიკური პირის თანასაკუთრებაში არსებული ფართობი.

მუხლი 9

ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი, შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებული ქონების სახეები დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 205-ე და 206-ე მუხლებით.